1919

# ნაკადული

საყმაწვილო
ჟურნალი

·მცირე წლოვანთათვის·





მაისი.

№ 9

# ნაკადული

წელიწადი მე-VIII. № 9 აპრილი, 1912 წ.

თბილისი



— აი მე რა მაქვს!..

# შინაარსი:

I—აი მე რა მაქვს!..—სურათი . . . . . . 1

II—თინა,—ლექსი შ. მღვიმელისა . . . . . 3

III—მარიკოს მერცხალი,—მოთხრობა ი. ევდოშვილისა . 6

IV—გლეხი და სიკვდილი,—იგავი ეზოპისა, (თავისუფალი თარგმანი) შანშესი . . . . . . 10

V—მელიას ოსტატობა,—მოთხრობა, (თარგ.) მ. კლიმიაშვილისა . . . . . . . . 11

VI—ოთხნი ერთ ოჯახიდან,—(თარგმანი). მარიამ იაშვილისა. 15

VII—როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან,—შემდეგი (გადმოკეთ.), გ. ანთელიძისა . . . . . 19

VII—გასართობი: რებუსი და ახსნა . . . . 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.



# თინა.

ჩემ კუდრაჭა წიწკნატელას,
რო უცინის ტკბილად ყველას,
ცუგრუმელას, ცისარტყელას—
ბარათაშვილს მარიკელას.



225

ოკეკლუცო გაზაფხულის
მშვენიერი იყო დილა,
როცა ჩიტთა ჟრიამულში
თინამ თვალი გაახილა,

მიიხედა, მოიხედა,
რა ვერ ნახა სახლში დედა,
ქორფა გული აუჩუყდა,
ცრემლი მოსკდა თვალებზედა,

დედას აღარ უხანია,
კარი შემოაჭრიალა...
თინამ გულით მოინდომა,
რომ ცრემლები დაემალა.

მაგრამ ერთი მაინც შერჩა
წამწამსა და წამწამს შუა,
ის კი ვეღარ მოიშორა:
სიხარულმა გააბრუა.

ობლად დარჩენილი ცრემლი
ცვარ-ნამივით ციალებდა,
თვალ-ქუთუნას წამწამებზე
დასაგორად ტრიალებდა.

მშობელმა ეს მარგალიტი
ვითომ ვერც კი შეამჩნია,
ტკბილ-ღიმილით მიეფერა:
—გაიღვიძე, ჩემო ია?!

აუმღერდა, აკვანწავა,
ებულბულა, ეალერსა,
გულზე მაგრა მიიხუტა,
დაჰკოცნა და ჩაეკონა...

როცა თინა დასაუზმდა
და გვირგვინში აისხდა,
თვალი მოჰკრა მერცხლის ბარტყსა,
არსად სჩანდა მხოლოდ დედა.

ცქვიტის პაწაწინა გული
მოუსვენრად ფანცქალებდა,
ფრთასა შლიდა, ჭყიპინებდა,
თითქმის კიდეც კანკალებდა.

თინამ ჰკითხა ხვეწნით დედას:
—შემოგევლე, გენაცვალე,
რა ატირებს ჭიკჭიკასა;
თუ გიყვარდე, მითხარ მალე!



— როცა წელან დედაშენი
გარედ იყო, ჩინჩხვარს ჰკრებდა,
კუდიანო ცუგრუმელავ,
ლოგინში რა გატირებდა?!

მაგის დედაც მინდვრად არის,
მოუზიდოს ჭია-ღუა,
განა მუქთა გუგულია,
დილას ტყე რომ გააყრუა?

შვილო, მერცხლის ადათია
უდარაჯოს ნათესს, მდელოს
და თან მავნე ჭიით შვილებს
პირი. ჩაუგემრიელოს.

შ. მღვიმელი.



# მარიკოს მერცხალი.

ზარმაცი ხარ, ზარმაცი! რაა, ერთხელაც ვერ ამასწარ დილით! მე ყოველთვის შენზე ადრე ვდგები ხოლმე. მერე რა კარგია დილა, რომ იცოდე —ზაფხულის დილა!

— რა ვქნა, ღმერთმანი, ვერ ვიღვიძებ: მეძინება, და იმიტომ ვერ ვიღვიძებ ადრე! — მიუგო პატარა მარიკომ მამას და ნაღვლიანად გულზე ხელები დაიკრიფა.

— ხვალ, დილა-ადრიან, აჭიკჭიკდება თუ არა მერცხალი, ტყისკენ უნდა გავისეირნო. რა მშვენიერია ტყე დილით, — ყანა, ყვავილები; მერე რამდენი, რამდენი ყვავილები!

— მამილოჯან, შენ გენაცვალე, მეც წამიყვანე; ჰა, ხომ წამიყვან? მინდა ყვავილები მოვკრიფო, თაიგული შევკრა; დედას მოუტან, ჩემ დედოფალსაც. ხომ წამოიყვან, ჰა? — შეეკითხა ხვეწნის კილოთი მარიკო მამას და პასუხის მოლოდინით მიაშტერდა თვალებში.

— წაგიყვან, როგორ არ წაგიყვან; თუ გაიღვიძებ, — წაგიყვან. მერცხალი დაიჭიკჭიკებს თუ არა, მე ფეხზე ვიქნები. აი, მერცხალი ხომ შენზე პატარაა, მაგრამ ის ყოველ დილას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე ადრე იღვიძებს ხოლმე!—მიუგო მამამ და შევიდა ოთახში.

მარიკო ისევ აივანზე დარჩა. ის დაფიქრდა. ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ და რანაირად მოეხერხებინა, რომ დილით ადრე გამოჰღვიძებოდა და ხვალ ყვავილები მოეკრიფნა, ესეირნა, ენახა ტყე, ამწვანებული მინდორი.

,,ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!'' დაიჭიკჭიკა ამ დროს აივნის ჭერიდან მერცხალმა და გამოჰყო თავი ბუდიდან, თითქოს მარიკოს ჩამოელაპარაკა.




—მერცხალოჯან, შენ გენაცვალე, მერცხალოჯან! —დაიძახა უცებ მარიკომ აივანზე, აღაპყრო ხელები მაღლა და შეემუდარა მერცხალს: — მერცხალოჯან! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარს შენი თეთრი გული, შავი ზურგი, წითელი ტუჩები, მოჭიკჭიკე ენა; რომ იცოდე, როგორ მინდა ხვალ დილით ტყისკენ გასეირნება!—ოჰ, აგრემც ღმერთი გადაგარჩენს ჩვენ პაწია ციცას: გამაღვიძე, ჩამომძახე, გამაგონე შენი ტკბილი ხმა; აგრემც გენაცვლები შიგ ენაში. ჩემო მერცხალო, ჩემო ლამაზო! ყვავილებს მოგიტან, ციცას არ ამოუშვებ აივანზე; დედას ყველაფერს გაუგონებ; აღარ

გავტეხავ ჩაის ჭიქას. აღარ გავისვრი ახალ კაბას. შევავედრებ ღმერთს, რომ ჩემსავით დიდი გაიზარდო, რომ დედა შენი არ გაგიწყრეს ხოლმე, რომ მამაშენმა ბევრი, ძალიან ბევრი კაკები მოგიტანოს. გამაღვიძე, გამაღვიძე დილა-ადრიანად, ჩემო მერცხალო. მერე, რომ იცოდე, რა მადლობელი ვიქნები შენი: შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ! მე და შენ ხომ ერთ აივანზე გვძინავს.

„ჭიკ-ჭიკ!“ ჩამოეხმაურა მერცხალი ნიშნად თანხმობისა, და ამ დროს ოთახის კარებიდან მოისმა მარიკოს მამის სიცილიც.

მას ესურებოდა მარიკოს ლოცვა-ვედრება...

* * *

დილაა. მზე ჯერ არა სჩანს, მაგრამ მისი სხივები-კი ეთამაშებიან მთის მწვერვალებს. დაჰკრა შუქმა მარიკოს აივანსაც და აჭიკჭიკდა მერცხალი. მარიკოს მამა პირზე ღიმილით დასცქეროდა მერცხლის მლოცველს, რომელსაც ღრმა ძილით ეძინა.

არ სცხრებოდა მერცხალი. მისმა ჭიკჭიკმა აახმაურა მთელი ეზო, მაგრამ მძინარა მარიკო ტკბილად ფშვინავდა. მეტი ილაჯი არ იყო, როგორმე უნდა ეშველნა მარიკოს მამას მერცხლისათვის. მან შიგ ყურში ჩასჭიკჭიკა მარიკოს და უცებ შევიდა ოთახში.

მარიკო შეტოკდა; ახლა-კი აშკარად მოესმა მერცხლის ჭიკჭიკი და მარდად წამოჯდა ლოგინში.

— მერცხალოჯან! შენ-კი გენაცვალე მაგ თეთრ გულში;— ჭიკჭიკა ენაში! გმადლობ, გმადლობ, ჩემო კარგო, რომ ჩემი თხოვნა შეასრულე!—ფურჩულებდა მარიკო და თან თვალებს იფშვნეტავდა.

— მამა, მამა, წავიდეთ ტყეში; გავიღვიძე, აღარა მძინავს! — შესძახა მარიკომ მამას ოთახში და ზეზე წამოიჭრა.

— ვინ გაგაღვიძა, ვინ? — ჰკითხა ოთახიდან მარიკოს მამამ და გამოუტანა ყვავილების მოსაკრეფი პატარა კალათა.

— მერცხალმა; გუშინ ვსთხოვე.

— მერე, მადლობა არ გადაუხადე?

— როგორ არა: გმადლობ მეთქი, ჩემო კარგო, — გმადლობ!

— ცოტა ხანს შემდეგ მარიკო და მისი მამა მიდიოდნენ ტყისკენ ყვავილების მოსაკრეფად.

მაგრამ ვის ეკუთვნოდა მარიკოს მადლობა, — ვინ იყო მარიკოს „მერცხალი?"

ამის გამოცნობა-კი თქვენთვის მომინდვია, ჩემო პატარა მკითხველებო.

**ი. ევდოშვილი.**



# გლეხი და სიკვდილი.



ტყეში ერთხელ ერთმა გლეხმა
წნელით შეჰკრა ფიჩხის კონა;
აიკიდა და სიმძიმემ
გზაში მეტად შეაღონა;

დაიღალა, დაიქანცა
მოსდიოდა სისხლის ღვარი;
დაანარცხა დაბლა კონა,
ხმა ამოჰხდა გულ-საზარი:

— ჰე, სიკვდილო, სადა ხარო,
მოდი მომკალ, მოდი—გელი.
წარსდგა მის წინ თვით სიკვდილი,
ხელთ ეჭირა გრძელი ცელი.

უთხრა:—ძმაო, რისთვის მიხმობ,
აი, ხედავ, შენთან ვარო?!
გლეხმა უთხრა: —ველარ შევძელ
წელში დაბლად დავიხარო:
გევედრები, მძიმე ტვირთის
აწ აწევას დამეხმარო.

შანშე.



# მელიას ოსტატობა.

ერთ სოფლის ახლოს პატარა ტყეში დაესახლა მელია. მარტო სცხოვრობდა ამ ტყეში: სხვა არაფერი ნადირი იქ არ მოიპოვებოდა.

ტკბილ, გემრიელ ცხოვრებას ატარებდა მელა-კუდა. იჭერდა მინდვრის თაგვებს, დროგამოშვებით საქათმესაც ეწვეოდა ხოლმე. იმიტომ ხომ ვერ დაემდურებოდა მელა ბედს, რომ ყოველ დღეს ვერ მიირთმევდა წიწილებს. აბა ჩვენ დროში ვინ არის ისეთი ბედნიერი, რომ ყოველ დღეს წიწილს შეექცეოდეს.

მხიარულად გაატარებდა მელა თავის სიცოცხლეს, მისთვის ხელი რომ არ შეეშალა მამლაყინწას, ციყვსა და კატას.

ერთხელ ტყის პირად შეხვდნენ ერთმანეთს და მუსაიფი გააბეს.

აღმოჩნდა, რომ ყველას სურდა ტყეში ცხოვრება, მაგრამ მელასი თურმე ეშინოდათ.

— მოდი მაშ შევამხანაგდეთ და ერთად ვიცხოვროთო,— უთხრა ბოლოს ციცუნიამ:—სამს ერთად მელია ვერაფერს დაგვაკლებსო.

მამლაყინწას და ციყვს მოეწონათ ციცუნიას აზრი. ახალი მეგობრები შევიდნენ ტყეში, ბინა დაიდეს ერთ ნაძვის ქვეშ და დაიწყეს ერთად ცხოვრება. კატა ჩიტებსა და თაგვებზე ნადირობდა; ციყვი ტყეში თხილს აგროვებდა; მამალი ჭიებსა პოულობდა, და იმით იკვებებოდნენ.

ჩვენმა ახალმა ხიზნებმა მალე შეამჩნიეს, რომ შენახულ სანოვაგეს ვიღაცა ჰპარავს.

მოიწადინეს ქურდის დაჭერა. საღამოთი მამალი ნაძვზე ჯდებოდა და მთელ ღამეს უყარაულებდა ქურდსა.



ირაქრაკა თუ არა, ნაძვის ქვეშ მიცუნცულდა ქურდი. მამალმა შეამჩნია და თავისი მაღალი ხმით მორთო ყვირილი. გამოეღვიძათ კატასა და ციყვსაც. ქურდმა დაინახა—საქმე ცუდად იყო, და დროზე თავს უშველა.

— დაიჭირე ქურდი?—შეეკითხნენ გამოღვიძებული ამხანაგები მამალსა:—ვინ იყო?

მამალმა ვერაფერი ვერ უპასუხა.

— იქნება იმას მაინც მოჰკარი თვალი—როგორი გარეგნობისა იყო?

— მოწითალო ბეწვი ჰქონდა, ცხვირი—მწვეტი, ლურსა, კუდი—ბანჯგვლიანი, სიარული—ფრთხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მ...მ...გ... მელია ბმანებულა, — გააწყვეტინა მამალს ლაპარაკი ციყვმა.

— უნდა ვეცადოთ, ეგ შეჩვენებული როგორმე აქედან გავამევოთ, — წარმოსთქვა კატამ: სამნი კარგად მოვახერხებთ ამას.

მეგობრებმა მოუწონეს კატას აზრი.

მელა-კუდა ამ დროს იქვე ახლო იყო მიჩქმალული და ლაპარაკი ეყურებოდა.

— ვნახოთ ვინ ვის გააძევებს, — სთქვა იმან თავის გულში. — თქვენ ერთად მალა მეტი გაქვთ, მაგრამ ხერხით მე გჯობივართ.

მეორე დღეს დილით კატა, მამალი და ციყვი დაადგნენ პატარა ბილიკს და გასწიეს ხშირ ტყისაკენ.

მიდიოდნენ და აქეთ-იქით მელიას ათვალიერებდნენ. წინ კატა მიდიოდა, მას მამალი მისდევდა, უკან ციყვი მისტუნავდა.

ციყვმა თვალი მოჰკრა თხილებს და იქითკენ გაექანა.

— წამო, ჯერ დრო არ არის: — როცა სახლში დავბრუნდეთ, მაშინ აკრიფე, — ურჩიეს კატამ და მამალმა, მაგრამ ციყვი ვერ დაიყოლიეს.

— თქვენ წადით და მეც მოგეწყვით, — ასეთი პასუხით გაისტუმრა ციყვმა ამხანაგები და თითონ-კი თხილს მიუბრუნდა.



კატა და მამალი გზას გაუდგნენ.

ცოტა ხანს შემდეგ მამალიც ჩამორჩა. კატამ მოიხედა და დაინახა, რომ მამლაყინწა ბილიკზე მარცვლებსა ჰკენკავდა.

— მენ ნუღარ შეფერხდები,—დაუძახა მამალმა კატას: მეც აი ამ მარცვლებს ავკრეფ და ახლავე მოგეწევი.

კატა მარტო გაუდგა გზას.



დაინახა ბილიკზე მკვდარი ჩიტი.

— მოდი ამ ჩიტს შევჭამ, მინამ ციყვი და მამალი მომეწევიანო, — იფიქრა კატამ.

მელა შორი-ახლო იყო და იმათ თვალ-ყურს ადევნებდა.

როცა კატა ჩიტს მიუახლოვდა, უეცრად გზაზე მელია გადაუხტა. კატა არ შეუშინდა და გაუმკლავდა, მაგრამ მელიამ ღონით სძლია: სუ-მთლად დაკბინა საცოდავი ციცუნია; ძლივს დააღწია თავი და მოჰკურცხლა.

მელია ახლა მამალს მიუხტა. მამალმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო: თვალის დახამხამებაზე ყელი გამოღადრა.

ციყვმა თხილი გაათავა და გაეშურა ამხანაგებისაკენ,—გამძღარი მიხტუნავდა.

უცებ თავს წაადგა მელიას, რომელიც მამალს შეექცეოდა. ციყვი საშინლად შეშინდა, სწრაფად ხეზე ავარდა და თავს უშველა.

მელამ ერთი კი შეხედა შეშინებულ ციყვს, ულვაშებში ჩაიცინა და ისევ განაგრძო საუზმე.

ამის შემდეგ მკვიდრი ბინა მოიკიდა ცბიერმა მელიამ ტყეში, სოფლის ახლოს.

მ. კლიმიაშვილი.



# ოთხნი ერთ ოჯახიდან.

(თარგმანი).



ძველი სააგარაკო სახლი ცარიელი იდგა. მოაგარაკენი უკვე ქალაქში გადასახლებულიყვნენ. კარებები და ფანჯრები ისე მაგრად იყო ჩაკეტილი, თითქოს ზაფხულში სახლი ძალიან დაღალულა და ზამთარში დასასვენებლად ემზადებაო. ბებერ ვირთაგვას დინგი გამოეყო თავის სოროდან და ჰაერს სუნავდა. შემდეგ სულაც გამოძვრა და ოთახებში სიარული დაიწყო.

— რა საზიზღარნი არიან ეს ადამიანები!—წაიწრუწუნა ვირთაგვამ:—სუყველაფერი წაუღიათ, ერთი ჰურის ნატეხიც-კი არ დაუტოვებიათ.

მოიფხანა ყურს უკან თათით, იწრუწუნა, იწრუწუნა და შიმშილისაგან გულ-გადალეულმა გადასწყვიტა სარდაფში რამე საჭმელი მოეძებნა.

გავარდა ბაღში, გაძვრა შუშის სარდაფის კარებ ქვეშ და მიიხედ-მოიხედა.

— აქაც არაფერი არ არის! მოტიტვლებულია აქაურობა, როგორც ჩემი ფეხის გული,—სთქვა ვირთაგვამ. ერთი-ღა დამრჩენია,—მეც უნდა საჩქაროდ ქალაქში გადავსახლდე!

მაგრამ ჩვენი ვირთაგვა სცდებოდა, რადგანაც სარდაფში ოთხი რამ იყო. ერთი — შავი მბრწყვინავი ქვა-ნახშირის ნაჭე-რი; მეორე — კოკსი, მეტად გამოფიტული; მესამე — არყის ხის ნაპობი, რომელიც თეთრად გამოიყურებოდა ბნელაში; მეოთ-ხე — ტორფის ნაჭერი.

ყველა თავ-თავის ალაგას იდგა. ხოლო ხანდისხან თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ ერთმანე-თი საშინლად მოჰბეზრებოდათ.

— ეს ვირთაგვა ძალიან სულელია, — სთქვა ნახშირმა, — აქ არავინ არისო: და მე განა აქ არა ვარ?

— მეც აქა ვარ, — წარმოსთქვა შეშის ნაპობმა: განა შე-საძლებელია არაფრად ჩამთვალოს!?

— განა მეც არაფერი ვარ? — სთქვა კოკსმა ხრინწიანის ხმით. მე ისე მაღლა ლაპარაკი არ შემიძლია, როგორც ნახ-შირსა, ან შეშის ნაპობს, რადგანაც იმდენი ტანჯვა გამომივ-ლია, რომ ღონე აღარ შემწევს ვილაპარაკო; მაგრამ ტანჯვამ კი ფასი დამდო.

— მეც! ბოდიშს ვიხდი გულ-ახდილობისთვის! — სთქვა ტორფმა და მორცხვად თავი ჩაღუნა. ნახშირმა ამაყად მიიხედ-მოიხედა.

— რასაკვირველია, — სთქვა მან: მე ამას ვამბობ, — ერთი ბძანეთ, რისთვის ხართ თქვენ გამოსადეგნი? აბა, რა სარგე-ბლობა მოგაქვთ ადამიანისთვის?

— მე სახლის გასათბობ მასალად ვარ საჭირო, — სთქვა ტორფმა. მაპატიეთ, რომ ვამბობ, მაგრამ თქვენ თვითონ მკი-თხეთ, ბატონო ნახშირო.

— მეც მაგ საჭიროებისათვისა ვარ, — სთქვა კოკსმა.

— მეც, — სთქვა შეშის ნაპობმა: — მაგრამ არ ვიცი — ეს ნა-ხშირი სხვა რისთვისმე არის კიდევ გამოსადეგი, გარდა იმი-სა, რომ ამაყი და ბჭყვრიალა შესახედაობა აქვს?

— ძალიან კარგი,—სთქვა ნახშირმა.—ჩვენ ყველას ერთნაირი აღსასრული მოგველის: ყველანი უნდა დავიწვათ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას ერთი ფასი გვაქვს. მე ყველაზე ფიცხი ვარ: იმდენი სითბო მაქვს, რომ ხანდის-ხან მგონია გავსკდები.

— მე თქვენში ყველაზე ძვირფასი ვარ,—სთქვა შეშის ნაპობმა: ყველას კი არა აქვს შეძლება არყის ხის შეშა იხმაროს!

უკაცრავად გახლავარ, მაგრამ მე ყველაზე იაფი ვარ,—წარმოსთქვა საცოდავად ტორფმა და შერცხვა.

— სამაგიეროდ მე ყველაზე სუფთა ვარ,—დიდებულად წარმოსთქვა კოკსმა.

— მადლობა ღმერთს, ყველას თავისი ღირსება ჰქონია,—სთქვა ნახშირმა: მაგრამ, მე მაინც და მაინც ყველა დამეთანხმება, რომ საუკეთესო ოჯახიდანა ვარ. ჩემი შთამომავლობა უძველესია, და ჩემზე ხნიერი არავინ მოიპოვება ქვეყანაზე.

— არა, დიაღაც მოიპოვება... მე აქ გახლავარ,—სთქვა კოკსმა.

— შენ, ჩემო კარგო, სტყუი,—უთხრა ამაყად ნახშირმა.

— არც მე ვარ გუშინდელი დაბადებული, მაგრამ ამით თავი კი არ მომაქვს,—მიუგო ტორფმა.

— მე, პირიქით, სრულებით ახალგაზრდა ვარ, ჯერ არც კი გავმხმარვარ,—სთქვა შეშის ნაპობმა,—მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემ თავს არაფრით თქვენზე დაბლა არ ვაყენებ, პატივცემულნო მოხუცნო.

ჩამოვარდა სიჩუმე. ცოტა ხანს უკან ტორფმა განაგრძო:

— უკაცრავად, ბატონებო... უმჯობესი არ იქნება, რომ ყველამ ჩვენი თავ-გადასავალი ვსთქვათ? დარწმუნებული ვარ—

ამ უშველებელ ცივ ზამთრის გატარება აქ მოგვიხდება და რაც უნდა იყოს—ისე აღარ მოგვეწყინება.

— დიდი სიამოვნებით, მზადა ვარ,—სთქვა კოკსმა:—ხოლო გთხოვთ ნება მომცეთ ჩემი თავ-გადასავალი სულ ბოლოს ვსთქვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საშინლად დავსუსტდი და გონების მოკრეფა მესაჭიროება; მეორე,—თქვენი მოუთმენლობა რომ ვიცი, თქვენი ჯერის მოლოდინი მარღვევს მომიშლის; მესამეც...

— მესამეზე შეგიძლიან არა ბრძანო რა,—გააწყვეტინა შეშის ნაპობმა:—მე დავიწყებ, რადგან ჯერ სულ ყმაწვილი ვარ და ძალიან კარგად მახსოვს მთელი ჩემი ცხოვრება.

— კარგი, დაიწყე,—სთქვა ნახშირმა,—შემდეგ ტორფი იტყვის და მერე მე.

**მარიამ იაშვილი.**

(შემდეგი იქნება).



# როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

(შემდეგი).

ერთი დიდად შესანიშნავი საშუალება, რომლითაც ცხოველები თავს იცავენ, არის საზოგადოებრიობა, საზოგადოებრივი ცხოვრება ცხოველებისა.

ჩვენ, ადამიანებს, კარგად გვესმის: რაც შეუძლებელია ერთი კაცისათვის, ის ადვილი ასასრულებელია ორი სამი კაცისათვის; ამასთან უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სამი კაცის შეერთებული შრომის ნაყოფი სამჯერ კი არა, ხუთჯერ, ხანდისხან ათჯერაც მეტი არის ხოლმე სამი კაცის ნამუშავარზე, თუ ისინი, რასაკვირველია, ცალ-ცალკე მუშაობდნენ.

ამ შეერთებულ შრომას გავლენა აქვს მშრომელთა სულიერ მდგომარეობაზე.

არის ბევრი ისეთი სამუშაო, რომლის შესრულება ცალკე მუშას არას გზით არ შეუძლია, რამდენ ხანსაც უნდა იმუშაოს. მაგალითად, ვსთქვათ, საჭიროა დიდი ზარის ატანა სამრეკლოზე; ერთი კაცი აქ ვერაფერს გააწყობს; ვერც ასი კაცი გააწყობს რასმეს, თუ ერთი მეორის შემდეგ იმუშავებენ; ხოლო თუ ასი კაცი ერთად მოეჭიდება, შეუძლიათ ზარი სამრეკლოზე აიტანონ და დაჰკიდონ.

სწორედ ეს აზრი უძევს საფუძვლად ყოველგვარ შეერთებას ადამიანებისას, და სწორედ ამ აზრით ზოგიერთი ცხოველები შეერთდებიან ხოლმე ჯგუფებად. ბევრმა ცხოველმა ალღოთი იცის, რომ ჯგუფში, თავის ტოლ-ამხანაგებში,

უფრო ადვილად დაიცავს თავს, უფრო უზრუნველ-ყოფილი
იქნება მტრისა და ხიფათისგან.

მგლების ხროს ადვილად შეუძლია დაიმორჩილოს და შე-
ჭამოს გარეული ღორი, მიუხედავად იმისი საშინელი ღო-
ნისა; ისინი შემოერტყმევიან ტახს: ზოგი წინიდან მიუვარდე-
ბა, ზოგი უკანიდან, სხვები გვერდებიდან, რამდენიმე კი ზუ-
რგზე შეაჯდება და ამ შემთხვევაში ვერც ღონე და ვერც სიმა-
მაცე ტახს ვეღარას უშველის; მაგრამ თუ ტახი მარტო არ
არის, თუ ეს ცხოველებიც ჯგუფ-ჯგუფად დადიან, მაშინ საქ-


გარეული ღორების ჯოგი.

მის ვითარება სრულებით იცვ-
ლება; გარეული ღორების ჯოგს
მგლების ხრო ვეღარ შებედავს,
თუმცა ჯოგში სუსტნი და უმ-
წეო გოჭებიც ბევრია ხოლმე.
ჯოგთან მიპარვაც კი ძნელი
საქმეა. იმ ცხოველებს, რომელ-
ნიც ჯგუფებად ცხოვრობენ,
ყოველთვის ყარაულები ჰყავთ;
ყარაულებად ყოველთვის ხნიერ,
გამოცდილ ცხოველებს ირჩევენ,
რომელნიც დიდის თავ-გამო-
დებით და ყურადღებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.
იგრძნობს თუ არა ყარაული მტრის მოახლოებას, მაშინვე
თავისიანებს ერთგვარი ხმით აცნობებს, რომლის მნიშვნე-
ლობა მთელ ჯოგს ესმის, დიდებსაც და პატარებსაც. გაიგო-
ნებენ თუ არა ნიშანს, ყველანი შეშფოთდებიან და შესაფერ
თადარიგს შეუდგებიან: ყველა ზეზე დგება, პატარები დიდებს
ეკვრიან, დიდები შვილებს თავს ერთად უყრიან, გარს შე-
მოერტყმიან ხოლმე და დაემზადებიან, რომ მკერდით დაუ-

ხვდნენ მტერს. მაგრამ ეს მეტია, რადგან მტრებმა სხვა წრე უნდა გაარღვიონ, სანამ დედებამდე მიაღწევენ. ამ წრეს ადგენენ ტახები, რომელნიც რგოლივით შემოერტყმევიან ხოლმე მთელ ჯოგს; და ვაი იმას, ვინც მიუახლოვდება.

სპილოებიც ჯოგად ცხოვრობენ. თვითეულ ჯგუფს მუდამ გამოცდილი სპილო ხელმძღვანელობს. ის გამგეა მთელი ჯოგის: ყველა უსიტყვოდ ემორჩილება. შეერთებული ცხოვრება ცხოველებს სწვრთნის, ანვითარებს იმათში სასარგებლო, საზოგადოებრივ ჩვეულებათ; და ეს ჩვეულებები ისეთი მტკიცეა, ისე აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ საკმაოა უფროსმა ერთი შეჰყვიროს და მით ნიშანი მისცეს ჯოგს, რომ იმწამსვე მთელი ჯოგი ფეხზე დადგეს და მტრის დასახვედრად მოემზადოს.

მაგრამ აი საფრთხე აიცდინეს. უფროსი ამასაც განსაკუთრებული ნიშნით აცნობებს ხოლმე ჯოგს და მაშინ ყველა დამშვიდდება და თავის საქმეს შეუდგება: ზოგი სძოვს, ზოგი დასასვენებლად წამოწვება, ზოგი თამაშს იწყებს,—ყველა დარწმუნებულია, რომ ხიფათი აღარ მოელის. და მართლაც, თუ უფროსი დამშვიდებულია, ჯოგს შეუძლია არხეინად იყოს: უფროსი მთლად ყურადღებათაა გადაქცეული, თითქო ოთხი ყური და ოთხი თვალი აქვს, გაფაციცებით აკვირდება არე-მარეს: არ გამოეპარება მცირე ფაჩუნიც, ოდნავი ხმა, შრიალი, რახუნი, ტკაცანი...

ბევრ ცხოველს რამდენიმე ხელმძღვანელი, უფროსი ჰყავს, რომლებიც მორიგეობით ჰყარაულობენ ჯოგს. ანიშნებენ თუ არა ჯოგს, რომ მტერი კარზედაა მომდგარიო, უფროსები პირველად გაილაშქრებენ მის წინააღმდეგ, იჭერენ ყველაზე საშიშარ ადგილს,—პირველად მიაგებებენ ხოლმე მკერდს მტრის საშინელ იარაღს და თავგანწირულ ბრძოლის მაგალითს აძლევენ ყველას.

სპილოები ეკუთვნიან უჭკვიანესს ცხოველთა რიცხვს; საზოგადოებრივი ჩვეულებანიც იმათში მშვენიერადაა განვითარებული. როცა ღამით სპილოთა ჯოგი წყალზე მიდის წყურვილის მოსაკლავად, უნდა ნახოთ რა სამაგალითო წესიერებით მოქმედებენ.



სპილოებს ამოჰყავთ ორმოში ჩავარდნილი პატარა სპილო.

ტყეში სპილოები არხეინად გრძნობენ თავს, რადგან იქ არ ბინადრობს უსაშინელესი მათი მტერი—ვეფხვი. სანამ ტყეში უხდებათ მოგზაურობა, მხიარულად მიდიან; ცელქობენ, ხმაურობენ ხის შტოებს ამტვრევენ,—ერთი სიტყვით, მხიარული აურ-ზაური აქვთ ხოლმე. მაგრამ აი ნიშანი მისცა უფროსმა—დაჩუმდითო,—და უცებ სიჩუმე ჩამოვარდება. ჯოგი ჩერდება, უფროსი ფრთხილად ფეხ-აკრეფით გაემართება. წინ, რომ არე-მარე დაათვალიეროს და წყლის დასა-

ლევად მოხერხებული ადგილი იპოვოს; მიდის დინჯად; ხორთუმი, ეს ერთად-ერთი იარაღი თავის დასაცავად,—მზადა აქვს (ზევით აწევს ხოლმე), თუ ვინიცობაა მტერს წააწყდა. როცა დაათვალიერებს მდინარეს და არე-მარეს და დარწმუნდება, რომ ყველაფერი თავის რიგზეა და ჯოგს სახიფათო არაფერი მოელის, ისევ დინჯად, ფრთხილად და ფეხ-აკრეფით ბრუნდება უკან ჯოგთან, რომელიც მთელ ამ ხნის განმავლობაში სულ-განაბული ელოდება. უფროსი გამოარჩევს ხოლმე ჯოგში რამდენსამე გამოცდილ სპილოს და იმათთან ერთად კვლავ მიდის ამორჩეულ ალაგზე, გარშემო ამორჩეულ სპილოებს ყარაულებად აყენებს, და როცა ამნაირად უზრუნველ ჰყოფს ჯოგს მტრისაგან, ხმა-მაღლა დაიკივლებს. მნიშვნელობა ამ კივილისა ყველამ იცის, რასაკვირველია. ჯოგი ხმაურობით და ხტუნაობით გაექანება იქ, საიდანაც კივილი შემოესმა, შეცვივდებიან წყალში, სვამენ, ბანაობენ, ხტუნაობენ. ამ დროს უფროსი და ყარაულები კი სმენად და ხედვად არიან გადაქცეულნი: არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საერთო მხიარულებაში, რადგან დიდად პასუხ-საგები მოვალეობა აწევთ: ჯოგის ყარაულობა. ერთი წუთის წინად კი მთელი ჯოგი მუნჯივით იდგა ერთ ადგილას და არც ერთი იმათგანი არაფრის გულისათვის არ დაარღვევდა ამ სიჩუმეს, რადგან იცავდა საზოგადოებრივ ჩვეულებას, რომელიც თვითეულ სპილოს არსებაში განავითარა ჯგუფურმა ცხოვრებამ.

გ. ანთელიძე.

(დასასრული იქნება)



# რებუსი




**მე-8 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:**

მიყვარს, როცა გაზაფხულზე აყვავდება ნაზი ია.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# „განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

**რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.**

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

**1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.**

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

**მისამართი**: ТифлисъДворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ-საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

**✦ წელიწადი მერვე ✦**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦**

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—**3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ყაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** —კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო ბაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**— კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—გ. ოდიშარიასთან, **სიღნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**